ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 241
ნოემბრის 10, კვირა 1902 წ.
1877

# ივერია

№ 241
ნოემბრის 10, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# 1903 წელს

გაზეთი „ივერია" გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება** თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

**ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**საბუნჩაში.** პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია"
**ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად**

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
☛ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ჟირარდის მანუფაქტურის
საწყობში

ახლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

**დონერ—ლეიტცი.**

საწყობი ქაღალდის
**დიტიატკოვსკის ამხანაგობის**
მოსკოვი. 1882 წ
ნოვგოროდი 1896 წ
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—21)

№ 13. ტელეფონი 617.
დილის წარმოდგენა
## ქართული თეატრი
კვირას, 10 ნოემბერს, 1902 წ.
დილის 12 საათზედ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება
**დაკლებულის ფასებით**
სწორედ შუადღეზედ.
# პატიოსნება
კომედ. 4 მოქ. გენრ. ზუდერმანისა; თარ. არ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე ს. სვიმონიძე, შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი და სხ.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა" „მუშაკი და ნებიერი", „მტერმოყვარე ძმები".

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

## თავად-აზნაურობის თეატრი
ტელეფონი 617.

**დასი დარჩება მხოლოდ თხუთმეტ ნოემბრამდის.** დღეს, კვირას, 10-ს ნოემბერს ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ ცნობილ არტისტი ქალის **მ. ნ. ინსაროვის** და **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება
# კარმენ
ოპერა 4 მოქმედებათ მუზ. ბიზესი.

კარმენის როლს შეასრულებს მ. ნ. **ინსაროვისა**, დონხოზეს ა. პ. **ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ინსაროვისა, ოლგინსკისა, სკორუპსკისა, ბაუერი; ბ-ნნი ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, პეტროვი, პევცოვი, სვობოდინი და სხვ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, ორშაბათს, 11 ნოემბერს, ა. პ. ბონაჩიჩისა და ა. ამალინის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება რეჟისორის **ბელსკის** საბენეფისოდ კომ. ოპ. „**ციგანსკი ბარონი**". სამშაბათს, 12 ნოემბერს „ტფილისის კრუჟოკში" უკანასკნელად წარმოადგენენ: 1) **ლაკმე** (2 მოქმ.) 2) **აიდა** (3 მოქმ.) 3) **ტრუბადურ** (4 მოქმ.) ბილეთები ისყიდება კრუჟოკის შვეიცართან. ამ დღეებში შესდგება ბენეფისი **ნ. ტ. ვან-დერ-ბრანდტისა.**

რეჟისორი **ი. ფითოევი.**

ევროპიელი ქალი
ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის
ენის მცოდნე, იძლევა
გაკვეთილებს
მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი
მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

გადაღებულია ნოტებზედ 30 ქართლ-კახურ-იმერული საერო კილოები; კილოები დაწერილია ორწყებიან ხაზის სისტემაზედ; ამ კილოებსვე დართული აქვს 70 ხალხური ლექსი; ყველა ამ ნამუშავარს დასტამბა სჭირია; ვინც ამ სიმღერების დასტამბვას იკისრებს, მას უფასოდ დაეთმობა პირველი გამოცემა და ამ სიმღერების დამწერივე იკისრებს უსასყიდლოთ კორეკტურის გასწორებას. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს პირობათა შესატყობად „ივერიის" რედაქციას.

5—2

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ბ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. თარხანოვი.** 7—8 საათ. ბავშვების და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
**ტელეფონი №274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. ბედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

**ტფილისი, 10 ნოემბერი.**

წარსულ კვირას (იხ. „ივერია" № 235) ჩვენ დავპირდით მკითხველებს მოვილაპარაკოთ, ვის უფრო ენდობა მთავრობა, რომ ერთი მილიონი მანეთი უსარგებლოდ მისცეს სესხად, რათა დღევანდელი მცირე დასატრიალებელი თანხა (87,000 მანეთი) სასოფლო-სამეურნეო ბანკისა საკმაოდ გაძლიერდეს და ამგვარად ჩვენმა ბანკმა სავსებით აღასრულოს თავისი დანიშნულება, ესე იგი დროთი მიეშველოს იაფისა და საკმაო სესხით სოფლის ყველა გაჭირვებულს მეურნეს.

ნდობაზედ იმიტომ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ ჩვენი სახელმწიფო ხაზინა, როგორც ყველას მოეხსენება, ცუდ-უბრალოდ ფულს არავის ასესხებს, თუ არ დარწმუნდება, რომ მისგან გაცემულის სესხის დროზედ დაბრუნება ყოვლად უზრუნველ-ყოფილია. რა-კი ეს ასეა, მაშასადამე, ნდობა უნდა იყოს დამყარებული ისეთს თავდებობაზედ, რომელიც საკმაო იქნება დასარწმუნებლად, რომ ვალი თავის დროზედ და უექველად იქნება გარდახდილი.

მართალია, ჩვენმა ბანკმა შვიდის წლის განმავლობაში საკმარისი ნდობა უკვე დაიმსახურს და კიდეც ამისათვის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ სესხით ხელი გაუმართა, მაგრამ მაინც კიდევ ეს ხელის გამართვა იმისთანა ნდობას არ მოასწავებს, როგორზედაც ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ჩვენ ვგულისხმობთ იმისთანა ნდობას, რომ მთავრობამ მისცეს ჩვენს სამეურნეო ბანკს უსარგებლოდ ერთი მილიონი 10—12 წლის ვადით და ეს ფული მთლად ბანკის განკარგულებაში იყოს.

არა ერთხელ მოგვიხსენებია, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, თვით-მოქმედებას ჯერ-ჯერობით არა აქვს მკვიდრად ფეხი გადმული ჩვენს საზოგადო საქმეებში და ამიტომ დიდი ვაი-ვაგლახი გვჭირდება ყოველ კეთილ საქმის განხორციელებისათვის. რაც უნდა ნათელი აზრი იყოს, რაც უნდა ქვეყნის სასარგებლო საქმე იყოს, არც ერთი და არც მეორე ჩვენში ვერ პოულობს საკმაო ნდობას და ამისათვის აზრი ბევრია და მისი აღმასრულებელი-კი არსადა სჩანს და ეს სამწუხარო ამბავი სწორედ იმის შედეგია, რომ ჩვენ სულით და გულით უნდონი ვართ და, თუ ჩვენთვითონ ერთმანეთის ნდობა არა გვაქვს, რაღა თქმა უნდა, სხვაც ძნელად გამოგვიცხადებს ნდობას.

სწორედ ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვერ დავასახელებთ ერთ მილიონის სესხის თავდებად ვერც ჩვენს ქართველს საზოგადოებას და ვერც ერთს კერძო კაცს, რომელსაც მთავრობა ნდობის თვალით უყურებდეს.

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი თავად-აზნაურობის წლიური შემოსავლის თანხა ისეთს კარგს მდგომარეობაშია, რომ მისი თავდებობა არასოდეს

საექვო არ იქმნება და ვისაც რას დაჰპირდება, უეჭველად აღასრულებს, რადგანაც თვით შემოსავლის წყარო საეჭვო არ არის. მართალია, თავად-აზნაურობის წლიურის შემოსავლის ყოველს თვითოეულს გროშს თავისი დანიშნულება აქვს, მაგრამ, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, დიდი ხანია, რაც ჩვენმა თავად-აზნაურობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჩვენს სასოფლო-მეურნეობის გაჭირვებას და მის გამოსაბრუნებლად სათავად-აზნაურო ბანკის წლიურ მოგებიდან 10 პროცენტი გარდასდო.

მას აქეთ, რაც უმაღლესის ბრძანებით სათავად-აზნაურო ბანკის მოგება ტფილისის თავად-აზნაურობას გარდაეცა, ზემოხსენებული 10% აღარავის ურიგებდა და ამიტომ 30.000 მან. დღესაც ხელუხლებელია. რადგანაც ჩვენს ბანკს არავითარი განსაცდელი არ მოელის, იმედია, რომ ყოველს წელს სასოფლო-სამეურნეო თანხას 30,000 მან. მიემატება და ათის წლის განმავლობაში, სარგებელიც რომ ზედ არ მივიდეთ, მაინც 300.000 მანეთი სამეურნეო თანხა შესდგება.

მაშასადამე, ჩვენი თავ.-აზნაურობა წარმოადგენს ისეთს დაწესებულებას, რომელიც უკვე შესდგომია სამეურნეო თანხის შეგროვებას და, რასაკვირველია, ვისაც აზრი საქმედ გარდაუქცევია, ის ყველაზედ უმეტეს **ნდობის** ღირსია,—და თუ მთავრობა ინებებს ერთ მილიონის სესხად მიცემას, ისევ თავად-აზნაურობას მისცემს.

არც თავად-აზნაურობა წააგებს, თუ იტვირთა ერთის მილიონის სესხის თავდებობა, პირ-იქით ბევრსაც მოიგებს. მართლა და, თუ თავ.-აზნაურობა ყოველ წლივ რიგ-რიგად თვითოეულს მაზრას 30,000 მან. მიაწვდის, მაშინ ასტყდება ერთი დავიდარაბა და ყველა მაზრა იჩივლებს რატომ ჯერ მე არ მიშველეთ და მერე სხვასაო; თუ კიდევ საკმაო თანხის შეგროვებას მოუცდის და ბოლოს 10—15 წლის შემდეგ ერთბაშად ყველა მაზრებს მიეშველება, მაშინ უარესი შედეგი იქნება, რადგანაც, მინამ საკმაო თანხა შესდგება, ჩვენ ჩვენი დაგვემართება და გაჭირვება მიწასთან გაგვასწორებს. გამოდის, რომ თავად-აზნაურობას შეუძლიან ის კეთილი განზრახვა, რომლის აღსრულების ღონის-ძიება დღეს არა აქვს, სესხის აღებით მოახერხოს, შეუძლიან დღესვე ხელი გაიმართოს და თავის მშვენიერს წადილს დღესვე მიაღწიოს. ამას რაღა ემჯობინება?

თავად-აზნაურობის თავდებობა ყოვლად უეჭვო საქმეა. როგორც 1901 წლის ანგარიში გვარწმუნებს, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დასატრიალებელს თანხას წლიურად 10% შემოაქვს; მაშასადამე, სესხად აღებული ერთი მილიონი მანეთი შემოიტანს 100,000 მანეთს; რადგანაც სხვა ბანკებთან მეტოქეობა მოითხოვს, რომ სარგებელი დაუკლოთ, ამიტომ წმინდამოგება 7% უნდა ვიანგარიშოთ და მაშინ ერთის მილიონის წლიური მოგება შეადგენს 70,000 მანეთს, ანუ 700,000 მან. ათის წლის შემდეგ: დაუმატეთ ამ თანხას 300.000 მანეთი რომელიც თავად-აზნაურობას ათის წლის შემდეგ ექნება, და დარწმუნებით, რომ თავმდები ადვილად დაუბრუნებს მთავრობას ერთს მილიონს სესხს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა მცირე სარგებლიან სესხს, მაგალითებრ 4%-საც ადვილად გარდაიხდის, მაგრამ, რადგანაც ამ სარგებლის გარდახდა ჩვენ უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე მთავრობას, სიმართლე მოითხოვს, რომ უსარგებლოდ მოგვეცეს; მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა, ერობას მოკლებული, დიდს ხარჯს ეწევა და დიდის ხარჯიდგან პატარა სარგებლობასაც ვერ ვხედავთ.

ყოველივე ესე ადვილი გასაგები და აღსასრულებელია, მაგრამ მკითხველი აუცილებლადა გვეტყვის: დღევანდელი სასოფლო-სამეურნეო ბანკის საზოგადოება წარმოადგენს კერძო კაცთა კრებულს, რომელსაც არავითარი კავშირი და დამოკიდებულება ტფილისის თავად-აზნაურობასთან არა აქვს და, როგორ უნდა მოთავსდეს ერთად ამ კერძო საზოგადოების საქმე თავად-აზნაურობის თავდებობასთან? იკისრებს-კი თავად-აზნაურობა ამ მძიმე ტვირთს თავდებობისას და, თუ იკისრებს, რა პირობითაო? მეორეს მხრივ, შეიძლება ბანკის საზოგადოებამ მიიღოს-კი ერთი მილიონი დასატრიალებელი თანხა, მაგრამ თავად-აზნაურობის პირობას-კი არ დაყაბულდეს. დიაღ, ეს ისეთი კანონიერი კითხვაა, რომ თუ წინადვე ამაზე არ მოვილაპარაკეთ და ამ ორთა პირთა იურიდიულის მხრივ დამოკიდებულება არ განვიხილეთ, ჩვენის აზრის განხორციელებას ბევრი რამ დაბრკოლება გადაეღობება წინ. მაშასადამე, ჩვენი ვალია ეს გარემოება განვიხილოთ, რის შესახებაც შემდეგს წერილში მოვილაპარაკებთ.

## ტფილისი

◆ გუშინ, 9 ნოემბერს, გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებამ შეატყობინა ტფილისის მიხეილის სასწავლებლის უფროსს, რომ შუამდგომლობა სასწავლებლის შენობის და სახელოსნოს გადიდების შესახებ, რათა მოსწავლეთა რიცხვი მომატებულ იქმნას პარალელურ კლასების დაარსებით, სამინისტრომ მოიწონაო. მთელი გეგმა შენობის გადაკეთებისა, შედგენილი სასწავლებლის ინსპექტორის ინჟენერ ბაბოვის მიერ, მინისტრმა მოიწონა; ამასთანავე მოწერილობით უბძანა სასწავლებლის მთავრობას, მოკლე ხანში წარადგინოს სამინისტროში როგორც გეგმა, აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა 45 ათასის მანეთისა, დასამტკიცებლად.

ამ პარალელურ კლასების დაარსებით, იმედია, ახლა მაინც შესაძლებელი იქნება დაკმაყოფილდეს სწავლის წყურვილი მრავალ მოწაფეთა, რომელთაც ყოველ წლივ სასწავლებელში მიღების უარს ეუბნებოდნენ.

◆ დღეს, 10 ნოემბერს, 12 საათზედ დანიშნულია ავლაბარში კურთხევა ტფილისის სიფხიზლის საზოგადოების განყოფილებისა. განყოფილება მოთავსებულია საკუთარს სახლში კაპგერის ქუჩაზედ.

◆ ჩვენ მივიღეთ № 4 კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების უწყებათა (**ИЗВѢСТІЯ кавк. отд. рус. геогр. общ.**) ამ ნომერში დაბეჭდილია კ. თ. განის წერილი „მიმოვლა ჩაჩანთა ქვეყნისა და დაღესტნისა 1901 წლის ზაფხულს და კ. პ. პოდოზერსკის წერილი: „სამეგრელოში“. ამ ნომერს დართული აქვს ბოლოში ბიბლიოგრაფია რამდენისამე გამოცემისა და სხვათა შორის სიბრძნე-ბალავარისაც, რომელიც ბ-ნმა ალ. ხახანაშვილმა დაჰბეჭდა მოსკოვში ორის პალეოგრაფიულის ტაბლიცით.

◆ მოგვივიდა აგრედვე მეათე წიგნი ანუ ოკდომბრის ნომერი ჟურნალის „მოამბისა“. აი მისი შინაარსი: „სოკო, სოკო!“—ბარნოვისა; „ხენთი“, რუს ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი, რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ევანგულოვისა (გაგრძელება); „ტარას ბულბა“,—(მოთხრობა) ნ. ვ. გოგოლისა, თარგმანი ინ-ანისა (გაგრძელება); „სამნი“—მ. გორკისა, თარგმანი პოლუმორდვინოვისა (გაგრძელება); „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“—ე. თაყაიშვილისა; „მაკბეტ“—გერვინიუსისა (გაგრძელება); „უცხოეთის მიმოხილვა“,—1 სერბია,—2. რუმინია—3. Laissaz faire, laisser passer.—4. მაკედონია.—5. კლერიკალიზმი. დამატება: „საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე“,—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა.

◆ სამშაბათს, 12 ნოემბერს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზედ იქმნება სჯა ბ-ნ გ. ჟურულის მოხსენების გამო: „კავკასიაში საკოოპერაციო ამხანაგობათა დაარსება“.

◆ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების თავმჯდომარეთ, 7 ნოემბერს შემდგარს კრებაზედ, ამორჩეულ იქნა ბ-ნი ბახჩიევი, ხოლო მის თანაშემწეთ იაკუბოვიჩი.

◆ ქალაქის გამგეობას დაარსებული აქვს სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლორის-მელიქოვის სახელობაზედ რამდენიმე სტიპენდია, ამ სტიპენდიების მისაღებად ქალაქის გამგეობისათვის ცხრამდე კაცს მიურთმევია თხოვნა; ქალაქის გამგეობამ თავის მხრივ ეს თხოვნები გარდასცა ქალაქის სკოლათა აღმასრულებელ კომისიას.

◆ ქალაქის გამგეობამ მიიღო წინადადება ინჟენერ კრავერ შირლონისაგან, რომელიც კისრულობს სამ გვარ სისტემის მილების დამზადებას ქალაქის მომავალ საჰიდრავლიკო ელექტრონის სადგურისათვის.

◆ ინჟენერ-ტეხნოლოგმა არტურ ბერეზოვსკიმ შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება, რომ თანახმა ვარ ჩემი შენობა, ვოკზალს ახლო, რომელშიაც მოთავსებული იყო ხორცის დუქანი კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებისა, დავუთმო ქალაქს წელიწადში ათ თუმნათაო. ამასთანავე ბ-ნი ბერეზოვსკი აცხადებს, რომ ამგვარ დუქნების უქონლობით განსაკუთრებით შეწუხებულნი არიან ქალაქის განაპირა ადგილების მცხოვრებნი და ჩემს მოვალეობად ვთვლი დავეხმარო მცხოვრებთ. ასეთს გაჭირვებაში და ამით ხელი შეუწყო ნაძალადევის, დიდუბისა და ვოკზალის მიდამოში ცხოვრების გაადვილებასო.

◆ გუშინ და გუშინ-წინ ალექსანდრეს ბაღში არ ენთო გალკინის ფანრები ვაშინგტონის სისტემისა, რადგანაც ქალაქის გამგეობამ წინადვე არ იზრუნა და საკმაო კრედიტი არ მოუპოვა ამ ფარნების გასანათებლად.

◆ თუმცა არა ერთმა სახლის პატრონმა რამდენჯერმე მიართვა ქალაქის გამგეობას თხოვნა, რომ უკანონოდ გვახდევინებენ მამულის გარდასახადსაო, მაინც კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს გარდასახადთა მოწესრიგების საქმე, აქამომდე კრება არ ჰქონია კომისიის თავმჯდომარე თ. არ. ბებუთოვი მოვალეა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და დააკმაყოფილოს მთხოვნელთა კანონიერი სურვილი.

◆ რადგანაც ქალაქის გამგეობა სოლოლაკის სკოლისათვის შენობა ვერ იშოვა, ამიტომ მან განიზრახა ეს სასწავლებელი დროებით ქალაქის სააუქციონო სადგურში მოეთავსებინა და სააუქციონო დარბაზი-კი სადმე გადაეტანა; სახლის პატრონმა კნ. ელისაბედ ბებუთოვისამ შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება, რომ, თუ ჩემს სახლში დარჩება სკოლა, მე იძულებული ვიქნები დავარღვიო ხელშეკრულობა და გამგეობას ჩემი ახალი პირობანი დაუდვაო.

◆ გუშინწინ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების 25 წლის იუბილეის დღესასწაულის დღეს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მინდობილობით, ბ-ნმა სულთან-კრიმ-გირეიმ, ქალანთარმა და ტრეგულოვმა მიართვეს მისალოცი ადრესი ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობას.

◆ უკანასკნელ კრებაზედ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შემუშავდეს ახალი დებულება, რომლითაც ხელმძღვანელობდეს ქალაქის გასანათებელ მასალის საწყობის გამგეო.

◆ 8 ნოემბერს ტფ. სამღვდელოების დეპუტატმა, დიდუბის ეკკლესიის მღვდელმა მამა კ. ცინცაძემ განუცხადა გამგეობას, რომ კარგი იქნება შეერთდეს ელისაბედის ქუჩა დიდუბესთანაო, ამისათვის საჭირო იქნება ქალაქმა შეიძინოს აკოფოვის ადგილიო; ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა, ამ საგნისთვის გადასდოს 3000 მან. და მალე შეუდგეს ამ საქმის განხორციელებას.

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა-რა იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც დავალებული ჰქონდა უსახელო საზოგადოების შესავალ-გასავალ ხარჯთ-აღრიცხვის გამოკვლევა, დაადგინა, შედგენილ იქმნას დაწვრილებითი ანგარიში და ეთხოვოს უსახელო საზოგადოებას, დროზედ წარმოადგინოს ქალაქის კასაში სავალდებულო გარდასახადი.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, სამხედრო საავადმყოფოს ადმინისტრაციამ სთხოვა ქალაქის გამგეობას თავისუფალი ადგილი საავადმყოფოში გარდაცვლილთა დასაკრძალავად. გამგეობამ დაავალა თავის მიწის მზომელს კაზაროვსკის, დაათვალიეროს საავადმყოფოს სასაფლაოსთან თავისუფალი ადგილები, რომელიც შეიძლებოდეს დაეთმოს ზემოხსენებულ საავადმყოფოს ადმინისტრაციას.

◆ პირველ იანვრიდგან პირველ ნოემბრამდე ქალაქის კასაში შემოსულა ქალაქის დასაფასებელი გარდასახადი 54,078 მან. 5 კაპ. მუშა საქონლის გარდასახადი 1,573 მ. 90 კაპ. ქალაქის სახლებიდგან და დუქნებიდგან 6,937 მან. 15 კაპ. საქონლის სადგურებიდან 18,329 მ. 53 კაპ. საყასბოში დახოცილ საქონლისა 52319 მ. 66 კაპ. ტრაქტირების გარდასახადი 23647 მ. 47 კაპ. და სხვა-და-სხვა წყაროდან კიდევ, შემოსულია სულ 219,644 მან. 13 კაპ.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ანნა ფურცელაძისამ, ნაზარევის ქუჩაზედ, როდინოვის სახლიდგან, დაჰკარგა სხვა-და-სხვა ნივთი, ღირებული 20 თუმნამდე და მასთანავე, 6 თუმანი ნაღდი ფულით; როგორც ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, ნივთების მომპარავი მათივე მოსამსახურე 13 წლის ბიჭი ყოფილა, რომელიც უკვე შეიპყრეს და აღმოუჩინეს დაკარგული ნივთები; მოპარულ ნივთებიდგან გაუყიდნია მთლად ჯვრის წრის ბეჭედი და დაუხარჯავს ექვსი თუმანი ფული, მცირე წლოვანი უკვე წარუდგინეს პოლიციას; მან განაცხადა, რომ ამ ქურდობაზედ შემაგულიანა ჩვენებურმა დიდმა ბიჭმაო; როდესაც გასვლას ვაპირებდი, დამიხვდა გზაზედ და მითხრა: ბიჭო, მაინც შინ მიდიხარ და მოჰპარე რამე შენ „ხაზეინებსაო“; მეც გავბრიყვდი და მოვიპარეო; პოლიციამ მისწერა ამ ბიჭის სოფლის პოლიციას, შეიპყარ პატარა ბიჭის შემაგულიანებელი და წარმოადგინე თბილისშიო.

◆ წარსულს კვირას დავბეჭდეთ ის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოსაკირწყლავად კომისიას შეუდგენია; ამ ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენებია ის ჯამიც, რაც დაიხარჯება მოკირწყვლის მეთვალყურეთა ჯამაგირებზედ; კომისიას გარდაუწყვეტია მოიწვიოს მოკირწყვლის უფროს ხელმძღვანელად ინჟინერი, რომელსაც წელიწადში დაენიშნება სამასი თუმანი; მოწვეულ იქნება აგრეთვე თანაშემწე-ინჟინერიც, წელიწადში 1.800 მანეთად; ამავე საქმისთვის მოწვეულ იქმნება ერთი ტეხნიკოსი,—600 მან; ერთი საქმის მწარმოებელი და იგივე ბუხგალტერი წელიწადში 900 მან. ერთი მწერალი—360 მ., ამასთანავე დაქირავებულ იქმნებიან 10 კაცი, მუშების ზედამხედველად თითოს წელიწადში 480 მ. მიეცემა, 7 კაცი მასალის საწყობთა მეთვალყურედ, და 7 დარაჯი. საკანცელარიო წვრილმანი ხარჯები და მასალის დასაწყობ ადგილების ქირა—სულ ყოველივე ხარჯი ამ საქმისთვის გამოანგარიშებულია 19,480 მანეთი, კომისიის ვარაუდით, მუშაობა გასტანს არა ნაკლებ 2—3 წლისა. კომისიას ჯერ არ გადაუწყვეტია, როგორ მიჰყოს ხელი ქუჩების შეკეთებას. ძველისა და ახლად შეკეთებულისას ერთად შეუდგეს მოკირწყვლას, თუ მხოლოდ უმთავრესს ქუჩების ახალის სისტემით მოკირწყვლას მიჰყოს ხელი.

## ფელეტონი

### წინაპართა აჩრდილნი

ისტორიული ამბავი *)

უძველეს დროიდან მოკიდებული ლეკები და ქართველები ერთმანეთის მეზობლად სცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, საქართველოსა და დაღისტნის ბუნებას შორის დიდი განსხვავება სუფევდა. ეს განსხვავება ბუნებისა რაღა თქმა უნდა, თავის შესაფერ გავლენას მოახდენდა მცხოვრებლებზედაც. ბუნება მხოლოდ საძირკველსა ჰყრის ეროვნულის ხასიათისას; ამ ხასიათს ავითარებენ, სხვა-და-სხვა თვისებათა და მიდრეკილებათ ანიჭებენ ისტორიულნი გარემოებანი.

ბუნებაზედ უფრო უმეტესად განირჩევიან ერთმანეთისაგან ისტორია საქართველოსი და დაღისტნისა. ლეკები მუდამ სცხოვრობდნენ უზარმაზარ მთებში, კარ-ჩაკეტილ და შეუვალ ხერხათა შორის. არა თუ დაუპატიჟებელი მტერი, არამედ სასიამოვნო და სასარგებლო სტუმარიც-კი ვერ პოულობდა ამ ღარიბ და მწირ ქვეყნის გზასა და კვალსა.

საქართველო სრულიად სხვა გვარ ქვეყანას წარმოადგენდა! იგი მდებარეობდა დიდ საქვეყნო გზაზე; ამის გამო მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზედ არ გამოსულა არც ერთი მძლავრი, შესანიშნავი ერი, რომელიც-კი თავის სიცოცხლის ჟამს ასცდენოდეს ამ გზასა. ეს ერნი, მრავალ სხვა-და-სხვა ბოროტებასთან, ბევრს სიკეთესაც უშვრებოდნენ ქართველობას. მათ შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში საზოგადო წეს-წყობილება, სარწმუნოება, წიგნი, მეცნიერება. ქრისტეს წინადვე ქართველებმა შეჰქმნეს თავიაანთ ეროვნული განათლება. ამ განათლებას ქრისტიანობამ წმიდა კაცთმოყვარეული მადლი მოჰფინა; ბერძნებმა და არაბებმა, რომმა და სპარსეთმა თავიაანთ გავლენით განავითარეს, აღაყვავეს იგი. ამ გარემოებათა მეოხებით ქართველები ძველ დროშივე მტკიცედ დაადგნენ წარმატებისა და განვითარების გზასა. და თუ ერთ ხელში ხშირად ეპყრად მახვილი, მეორე ხელიდამ არას დროს არ გაუგდიათ წიგნი და ჯვარი ქრისტესი.

ლეკები-კი არც ერთხელ არ გამოსულან ველურ, მამაპაპურ მდგომარეობიდან. მერვე საუკუნიდანვე მაჰმადიანობამ იწყო მათ შორის გავრცელება; შემდეგ საუკუნოებში მან მტკიცედ მოიკიდა აქ ფეხი და მთელს დაღისტანში ამაყადააფრიალა მწვანე დროშა ცოფმორეულ ფანატიკოსობისა.

ასეთია წარსული ლეკებისა და ქართველებისა. ამ გვარ განსხვავებას მეთექვსმეტე საუკუნიდან ზედ დაერთვნენ მძლავრი პოლიტიკურნი გარემოებანი, რომელთა წყალობით მოხსენებულნი ერნი, დიდხანს ერთმანეთის გვერდზე მშვიდად მცხოვრებნი, მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს მშიერ მგლებივით დაეტაკნენ ერთმანეთს.

### I

ქართველობას მთელს თავის სიცოცხლეში არას დროს არა ჰყოლია ისეთი მოუსვენარი და შემაწუხებელი მტერი, როგორიც იყვნენ მეთვრამეტე საუკუნეში ლეკები. უბედურება იმაში გახლდათ, რომ ეს მტერი საქართველოს გვერდში უდგა, მის მეზობლად სცხოვრობდა; ამის გამო ყოველ წამს შეძლება ჰქონდა განცხადებით, თუ ფარულად გადმოევლო მისი საზღვრები, უეცრად დასცემოდა მის მცხოვრებლებთ, აეკლო და დაეხოცნა იგინი.

ამგვარმა მტრობამ უფრო თავი იჩინა მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. რას კვირველია, ქართველებიც გულხელდაკრებილნი არ დახვდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს. ვაჟკაცობით სახელგანთქმული მთიული ქართველები, ფშავხევსურნი და თუშები მამაცურად გადუდგნენ წინ სამშობლოს მტერს. მალე ქართლ-კახეთის მეფენიც ჩაერივნენ ბრძოლაში. მრავალმა ლეკმა საუკუნოდ დახუჭა თვალები საქართველოს ველ-მინდორზე, მრავალს მათგანს აუტირდა დედა, მაგრამ ქართველებს მაინც უფრო მეტი ზარალი მოსდიოდათ ამ განუწყვეტელ ომიანობისაგან, ვიდრე ლეკებს. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოს გაშლილ ველ-მინდორზე ლეკები ადვილად ახერხებდნენ ნავარდობას, ხოლო ქართველებისათვის თითქმის შეუძლებელი იყო უზარმაზარ მთებსა და დაბურულ ტყეებ შორის მდებარე დაღისტანში შესვლა; ამის გამო, თუმცა ხშირად მარცხდებოდნენ ლეკები, მაგრამ მათი ბუნაგი მუდამ უვნებელი რჩებოდა. იქ ხელახლა იბადებოდნენ მეომარნი და უფრო მეტის მხნეობით და ბოროტებით მოისწრაფოდნენ საქართველოსკენ. პირველად მათ კახეთის სამზღვრებს უწყეს აოხრება, მაგრამ მალე ისე გათამამდნენ, რომ კახეთსაც აღარ სჯერდებოდა მათი ავკაცობა. იწყეს თარეშობა ქართლში: აკლება და აოხრება სოფლებისა, ხოცვა-ჟლეტა და ტყვევნა მცხოვრებელთა. დღესაც გულს უწუხებს მამულიშვილს მაშინდელი განადგურებული, დანაცრებული ნასოფლარები!!

ლეკები ხშირად გადადიოდნენ დასავლეთისკენ და ულმობლად აფუჭებდნენ იმერეთის საზღვრებსაც. მათმა თავგასულობამ იქამდე მიაღწია, რომ მთელი ქართლ-კახეთი გზათ და ხიდათ გაიკეთეს დაღესტანსა და ოსმალეთ შუა. ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც საქართველოში მეფობდა კაცი, სახელგანთქმული ვაჟკაცობითა, მხნეობითა და მამულის მაღალის სიყვარულითა. მეფე ერეკლეს ხმალი ერთ დღეს რომ დაღისტნის სამზღვრებთან პრიალებდა, მეორე დღეს შუა ქართლში სჩეხდა ოსმალ-სპარსელებს კაცს გაუჭირდება თქმა—როდის და სად ისვენებდა გასაოცარი გმირი მეფე. საუბედუროდ, ერეკლე მეორეს ხანდისხან პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა ატყუებდა, ამის გამო იგი ხშირად მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან: დაუძინებელი მტერი მას სამშობლოს მოკეთედ ეჩვენებოდა, და მას-კი მტრულად შესცქეროდა, რომელთანაც სამშვიდობო მორიგება შესაძლებელიც იყო და სასარგებლოცა. ამიტომ მისმა გასაოცარმა მამაცობამ ბოლოს ჟამს თითქმის სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა; მისი დიადი ღვაწლი სამშობლო ქვეყნის წყლულს გამკურნებენ მალამოდ ვერ დაედო!..

### II

ქართლისა და კახეთის მეფეებმა,—თეიმურაზმა და ერეკლემ,—ტფილისში მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს გალაშქრება ნუხის ხანის, ჰაჯი ჩალაბის, წინააღმდეგ. ეს ჰაჯი-ჩალაბი შთამომავლობით სომეხი იყო: ვიღაც ტერტერას შვილი. რა იყო მიზეზი მისის გამაჰმადიანებისა, ამაზედ არა ვიცით... სჩანს მხოლოდ ის, რომ იგი კარგა დავაჟკაცებული იყო, როდესაც მაჰმადიან მლოცავებს გაჰყვა მექაში, მიიღო რჯული მაჰმადისა და დაბრუნდა დაღესტანში. თან მოიტანა „ჰაჯის“ (მლოცველი) სახელწოდება. ესეც არ აკმარა თავის გადასხვაფერებას: მან ამ სახელწოდებას მიუმატა „ჩალაბიც“, რაც ჰნიშნავს წინასწარმეტყველის მაჰმადისაგან შთამომავლობას. ცხადია, რა გავლენასაც მოახდენდა იგი დაღისტნელ მაჰმადიანებზედ მარტო ამ სახელწოდებითაც-კი... ხოლო ჰაჯი-ჩალაბს სხვა, მაშინდელ დროში დიდათ მოსაწონი და სასარგებლო თვისებანიც ბლომათა ჰქონდა. იგი იყო მხნე, შორ-გამჭვრეტი, ხერხიანი, ეშმაკი, ვერაგი, ცბიერი და გაიძვერა. მის მოუსვენარ ხასიათს და დიდების მოყვარეობას ცეცხლისა და მახვილის სარწმუნოებამ შესაფერი საგანიც აღმოუჩინა. შეჰკრიბა თავზედ ხელ-აღებული ავაზაკები და მაჰმადის სადიდებლად იწყო საქრისტიანო კახეთის სამზღვრების, საინგილოსი და ნუხის მიდამოების აკლება. ამგვარის მტაცებლობით მალე დიდი ქონება შეიძინა. ამ სიმდიდრით და

---

*) შინაარსი ამ პატარა მოთხრობისა დამყარებულია ნამდვილ ისტორიულ ფაქტებზე, საგვარეულო გუჯრებსა და კერძო კაცთა მიწერ-მოწერაზე, და ბოლოს ხალხურ გარდმოცემაზე, რომელიც პირველად გავიგონე აწ გარდაცვალებულ დურმიშხან შალვას ძის ქურულისაგან, რისთვისაც ვისურვებ მისთვის საუკუნო ხსენებას და მართალთა შორის განსვენებასა.

ავტ.

ეროვნული

# ჩვენებური ამბები

**სურამი**. სურამის საზოგადოებას თავისი სურვილი აუსრულდა: ამ დღეებში მიუვიდა ნებართვა საკვირაო სკოლის დაარსებისა. სკოლა მალე დაიწყებს მოქმედებას და იმედიც არის, საქმე კარგად წავა, თუ სკოლა ნივთიერად უზრუნველ ყოფილი იქნება.

—

**ქუთაისი**. არა და არ იქნა, რომ რომელიმე საზოგადო დაწესებულებას ჩვენში ბოლო გაეტანოს და თავის დანიშნულ მიზნისთვის მიეღწიოს. ძალიან დიდია ერთი ან ორი წელი გასტანოს ასეთმა დაწესებულებამ, თავის დაარსებიდგან, შემდეგ ან იხურება, რადგანაც გულ-შემატკივარ მმართველებს ვერ პოულობს და ან კოტრდება. ყველა ეს, რასაკვირველია, ჩვენი დაუდევრობის და გულგრილობის ბრალია. პირველად ყოველ ახლად დაწყებულ დაწესებულებებს დიდი ამბით და ზეიმით ვეგებებით; ვშრომობთ, თავს არ ვიზოგავთ მისთვის, ბევრს რამეს ვპირდებით საზოგადოებას, მაგრამ გაიარს რამდენიმე თვე და ჩვენც ნელ-ნელა გვიგრილდება გული ასეთ საქმისადმი, გვავიწყდება ყველა ის, რასაც ვპირდებოდით მის დამაარსებელთ. ამის შემდეგ ნელ-ნელა ლაფავს სულს და ბოლოს კვდება თავის მიზნის მიუღწევლად ასეთი კეთილი საზოგადო საქმე.

ვერც ჩვენი ქუთაისის პურის მცხობელი ამხანაგობა „იმედი“, ასცდა ამ უბედურებას. აი რას გვატყობინებენ მის შესახებ „ივერიის“ № 225-ში:

„პურის ცხობის ამხანაგობის საზოგადოების საქმე ვერ წავიდა კარგად, მოთავედ ისეთი კაცები არიან, რომელთაც არა სცალიანთ ამხანაგობის საქმეს ემსახურონ, მაგრამ მაინც თავს არ ანებებენ თავის თანამდებობასაო“. თუმც ერთის მხრით ეს ძლიერ სამწუხაროა, მაგრამ, ჩემდა უნებურად, გამეცინა, როდესაც ეს წერილი წავიკითხე. „მოთავედ ისეთი კაცები არიან, რომელთაც არა სცალიანთ ამხანაგობის საქმეს ემსახურონო“! არა, ჯერ ეს ვიკითხოთ, ნუ თუ მათ იმ თავითვე არ იცოდნენ, ეცლებოდათ თუ არა ამ კეთილ საქმისთვის? და თუ-კი იცოდნენ, რისთვის იკისრეს მაშინ ეს მოვალეობა? მათ რომ მაშინვე უარი განეცხადებინათ და მათდამი შეუფერებელ საქმეს არ შებმოდნენ, უეჭველად გამოჩნდებოდნენ ისეთი პირები, რომელთაც დროც და ძალღონეც ექნებოდათ საქმის წინ გასაძღოლად. ეხლა-კი, როდესაც ამხანაგობის საქმეები განსაცდელშია, ვინღა იკისრებს და ვინ მოჰკიდებს ხელს!

ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვჯერა, ანუ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამხანაგობის საქმეები გლახა მდგომარეობაში იყოს და თუ არის: მისი გამობრუნება არ შეიძლებოდეს...

alliense

—

**ბათუმი**. **არჩევნების ციებცხელება, ქართული თეატრი და საძაგელი ამინდები**. ამ ჟამად აქ, როგორც იტყვიან, არჩევნების ციებ-ცხელებაა. ასეთი მღელვარება, ასეთი გაწამაწია არასოდეს არ განუცდია აქაურობას. გაჩნდა პარტიობა ეროვნულ, საზოგადო, კერძო და პირადულ ნიადაგზე. აირია მონასტერი. ეჭვს გარეშე მიგვაჩნდა, რომ ქართველების მოწინააღმდეგე ელემენტები პალმის და მის მოძმეთა მეთაურობით იჩენდნენ თავს არჩევნების დროს და შეერთდებოდნენ ქართველების დასამარცხებლათო. ასეც მოხდა.

აქამდე ის იყო სამწუხარო, რომ თვით ქართველი ამომრჩეველნი იყვნენ პარტიებათ დაყოფილნი, რაც ორივე მხარეს დამარცხებას უქადდა გარეშეთაგან; ახლა მათ თუმცა თანხმობით მოქმედება იწყეს, მაგრამ გამარჯვება მაინც საეჭვოდ მიგვაჩნია; საეჭვოა იმიტომ, რომ უცხო ეროვნების ამომრჩევლები შეერთდენ და ქართველების წინააღმდეგ ერთად თანხმობით მოქმედობენ.

სომხებთან შეთანხმებას ოცნებობდენ ზოგიერთი აქაური გულუბრყვილო ქართველი ამომრჩეველნი და ოცნება სწორედ ოცნებათ დარჩათ. რით ვერ გაიგეს ამ დალოცვილებმა, რომ არამც თუ ქალაქის თვითმართველობის, არამედ ყოველგვარ ნიადაგზე სომხის ბურჟუაზია შეურიგებელი მტერია ქართველებისა და მათთან მოქმედებისა. ვნახოთ, მაინც რას გვეტყვის 10 ნოემბერი.

5-ს ამ თვეს სამშაბათს ქუთაისის დრამატიულმა დასმა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით, ტასო აბაშიძის და ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, აქაურ რკინის გზის თეატრში დასდგა ოთხ მოქმედებიანი დრამა „ბორკილი“ სუმბათაშვილისა და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „ბენეფისის წინ“. მესხიშვილი, ტასო აბაშიძე და ჩხეიძე, ესენი ისეთი არტისტებია, რომ, როცა ისინი თამაშობენ, არამც თუ ქართველობა, არამედ გარეშენიცკი ესწრებიან, მაგრამ სამწუხაროდ ბ-ნ მესხიშვილს ძალიან გლახა დრო აურჩევია წარმოდგენების მართვისათვის. ჯერ არის და არჩევნების ციებ-ცხელებაა და მერე ისეთი საძაგელი ამინდებია, რომ კაცი გარეთ ვარ გამოდეს. მიუხედავად ამისა, ამ პირველ წარმოდგენას ხალხი გვარიანად დაესწრო. გამოვიდნენ თუ არა ჩვენი სასიქადულო არტისტები სცენაზე, ხალხის ალტაცებას, ტაშსა და ყაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. არას ვიტყვით, თუ რა პიესებია „ბორკილი“ და „ბენეფისის წინ“, რადგან ეს თვით მკითხველმაც კარგად იცის. წარმოდგენამ საზოგადოდ, კარგად ჩაიარა, როლებიც მესაფერად იყო განაწილებული, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი იმედაშვილი სერგეი ვოლინცევის და ქ-ნი თათეიშვილი ანფისა გარანინის როლებში შეუფერებელნი იყვნენ. ბ-ნი იმედაშვილი ამასთანავე წელში მეტად იხრებოდა, რაც ჩვენის აზრით, ძლიერ აუშნოებდა. წარმოდგენა გათავდა პირველ საათზე. საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა.

—

ეს კვირა-ნახევარი აქ სწორედ კოკის პირული წვიმაა. მართალია, ქუჩები ისეა გაკეთებული, რომ ტალახი არ დგება, მარა კაცი მაინც გარეთ ვერ გამოდის, რადგან წვიმებთან ერთად დაიჭირა მეტად ცივი და სუსხიანი ამინდები. ეს-კი იმის მიზეზია, რომ ახლო-მახლო მთებზე ჩამოთოვა. ზღვა ასეთს ამინდებში ჩვეულებრივად ღელავს, გრგვინავს.

—ონ—ელიძე.

# კავკასია

ბაქოს ქალაქის გამგეობის მდივანი ბ-ნი ტოტომიანცი უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

—

**ბაქო**. (საკუთ. კორესპონდენტისაგან). ბაქოს არსებობა, როგორც მოგეხსენებათ, ნავთზეა დამოკიდებული. ხვალ რომ ნავთი გამოილიოს ბაქოს მიდამოებში, ზეგ, გარდა აქაურ მკვიდრთა, ერთი კაციც აღარ გაიჭაჭანებს ბაქოში. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გავლენა აქვს აქაურ ცხოვრებაზედ ნავთის ფასს, რომელიც აგერ მეოთხე წელიწადია ძლიერ დაცემული იყო.

ნავთის ფასის დაცემამ ბევრი სიმდიდრე ჩანთქა და განსაკუთრებით ჩაიფლნენ ეგრედწოდებული სპეკულიანტები, რომელთა ინტერესსაც შეადგენდა სახელმწიფო, თუ კერძო მადნების ხელში ჩაგდება იაფ-ფასად და ძვირად გაყიდვა. ბოლო დროს სპეკულიანტების ოინმა მწარმოებლებიც ჩაითრია და საქმე ცუდად იყო, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ფასი არ აწეულიყო.

ეხლა ფუთი ნავთი ორ შაურამდე ავიდა და ბაქოელები, ცოტა არ იყოს, წელში გაიმართნენ. იმედი მიეცათ უკეთესის მომავლისა. იმედი აქვსთ, რომ ფასი კიდევ აიწევს და ნავთის საქმე გამობრუნდება.

თუ ეს იმედი გამართლდა, იანვარში დანიშნული სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემა დიდ წეწვა-გლეჯას გამოიწვევს, თუმცა ამ ჟამად სპეკულიანტები უფულოთ არიან და ვისაც კიდევ ფული შერჩენია, უფრო წინდახედულად უნდა იყოს, თუ ადრინდელ მაგალითს გაიხსენებს; მაგრამ აქედამვე ეტყობათ კოჭებში, რომ ამ მაგალითს უყურადღებოდ დასტოვებენ და კიდევ ბევრი გაებმის მახეში.

ბაქოს საზოგადო ცხოვრებაც უკეთესის მომავლის იმედს იძლევა. აქაურ ახალ ქალაქის თავის ენერგია, მუყაითობა და საქმიანობა გვარწმუნებს, რომ ეს ასე იქნება. არც ერთი დარგი ქალაქის საქმეებისა ბ-ნმა ნოვიკოვმა არ დააგდო ხელ-უხლებლად და ყოველგან შეაქვს გამაცხოველებელი შრომა და ენერგია. რასაკვირველია, მოწინააღმდეგენიც ბევრი გამოუჩნდა ბ-ნ ნოვიკოვს. ეს ის ვაჟ-ბატონები ბრძანდებიან, რომელთაც დიდის ხნის განმავლობაში გაუბატონებიათ პირადი ინტერესი და სრული აპატია საზოგადო საქმებისადმი. ეჭვი არ არის, რომ ბ-ნ ნოვიკოვის კეთილი განზრახვანი არ ეთანახმებიან მათ გალაღებულ უსაქმურობას ან პირადი ინტერესისათვის საქმიანობას და აქ გახლავთ სათავე იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც ისინი უწევენ ახლად არჩეულ ქალაქის თავს.

ხალხის დაბრმავება ძნელია და აქაურ მკვიდრთა წარმომადგენლებმა უკვე იცნეს ბ-ნ ნოვიკოვის მისწრაფებანი და გვერდში ამოუდგნენ, წელი გაუმაგრეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამისთანა მდიდარი ქალაქი, როგორც ბაქო, უწყლოდ, უკანალიზაციოდ, მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებით და ყოველგვარ უწესოებით არის შესამჩნევი. მილიონად ღირებული ქალაქის ადგილ-მამულები, ვინ იცის, ვის ხელშია და ვის უსქელებენ ჯიბეს! ყოველ ამგვარ უწესოების მომსპობი, რასაკვირველია, ვერ მოიპოვებს იმათ სიყვარულს და თანაგრძნობას, ვისთვისაც ძველებური უწესოება ხელსაყრელი იყო. აქ არის სათავე ბ-ნ ნოვიკოვის საწინააღმდეგო ბრძოლისა, რასაც ყოველი გარეშე მდგომი მეთვალყურე აშკარად ჰხედავს და თანაუგრძნობს ქალაქის თავს, მაგრამ, აკაკის თქმისა არ იყოს, ერთის მტრის მოქმედება უფრო საგრძნობელია, ვიდრე ასის მოყვარის თანაგრძნობა.

უნდა მოგახსენოთ, რომ აწინდელი ბაქოს საბჭო დიდ განსაცდელში ჩავარდა ბ-ნ ნოვიკოვის ქალაქის თავად არჩევის შემდეგ. აქამდე ქალაქის მამები შეუშფოთებლად სწყვეტდნენ ქალაქის ბედ-იღბალს, ყოვლის უმალ თავიაანთ თავს არ ივიწყებდნენ,—რაც სურდათ იმას გაიძახოდენ, ბევრჯელ სინიდისის და კანონის წინააღმდეგაც ჰმოქმედობდენ. ბ-ნ ნოვიკოვის არჩევის შემდეგ, უკაცრავად ნუ ვიქმნებით, შებოჭილ-შებორკილნი შეიქნენ. ბ-ნ ნოვიკოვის თავმჯდომარეობის გამო ყველამ უნდა დაფიქრებით იბაასოს, თორემ გააჩუმებენ; სინიდისიერად იმოქმედოს, თორემ კანონზედ მიუთითებენ...

— ბიჭოს! რა განსაცდელში ჩაგვაგდო ამ ნაჩინოვნიკარმა? ჩვენ ხომ ამეებს არ მოველოდით მისგან“?—ეკითხებიან ერთი მეორეს ქალაქის მამები, მაგრამ ამაოდ, ქალაქის თავი თავისას არ იშლის, ჰმოქმედობს, ჰქუხს, ამსხვრევს უწესოებას სტიქიონურის ძალით.

ამბობენ, ბ-ნი ნოვიკოვი დიდ ხანს ვერ შერჩება ამ ალაგსაო, მაგრამ შემცდარი აზრია. აქაურნი მკვიდრნი, მაჰმადიანები, უკვე აფასებენ ბ-ნ ნოვიკოვის მხნეობას და ხელიდამ არ გაუშვებენ ამისთანა სასარგებლო ადამიანს, მით უმეტეს, რომ არჩევნები ამათ ხელშია. ისიც-კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ქალაქის საქმეებს შეგნებული მაჰმადიანები შორს გაუდგნენ, როგორც ხმოსანთა უკანასკნელ არჩევნების დროს, და არჩევან-არადანი კიდევ ძველ ვაჟბატონებს ჩაუგდეს ხელში, მაშინ არც ბატონი ნოვიკოვი მოისურვებს ქალაქის თავობას და ბაქო ისევ ძველ უსაქმობისა და უწესოების გზას დაადგება. ღმერთმა ნუ ჰქმნას!..

—

აქაური ქართველი საზოგადოება წელსაც ჩვეულებისამებრ შეუდგა თადარიგს ქართულის საღამოს გამართვისას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. წელს მოთავედ ქ. ო. ლ. ქანანაშვილისა იქმნა ამორჩეული და მასთან ერთად ე. ს. გეჰნერისა (მესხი) და კნ. ნ. პ. მიქელაძე. რასაკვირველია, საღამოს გამართვაში მთელი აქაური ინტელლიგენცია იღებს ხოლმე მონაწილეობას, მხოლოდ სათავეში უნდა იყოს ყოველთვის ერთი ან რამდენიმე კაცი. დიდ შრომას და დროს თხოულობს ხოლმე საღამოს გამართვა და მასთან ხარჯსაც და ამიტომ საჭიროა, რომ ყოველწლივ საღამოს მმართველნი ერთნი და იგივენი არ იყვნენ, რომ შრომა განაწილებული იყოს.

რომ ჩვენი ხალხი ნივთიერად შევიწროებულია—ეს ამბავი არ ახალია, ძველია, ყოველი საქველ-მოქმედო საქმე ხარჯს თხოულობს და მისნი მოთავენი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ საშუალების გამოსაძებნად. ამითი აიხსნება ის განსაცდელი, რომელშიაც არის ჩავარდნილი თითქმის ყოველი ბაქოში მცხოვრები ქართველი. ისე დღე არ გაივლის, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდამ ერთიორი არ მიადგეს კარებზედ საქველ-მოქმედო სიით ხელში. ან არა და პირდაპირ ფოსტით უგზავნიან კვიტაციას, თითქოს უკვე მიღლოთ 5 ან 10 მანეთი—მოდი და ნუ გაგზავნი? გაქვს, თუ არა—ამას ვინ გვკითხავს!

საზოგადოდ ბაქოში მცხოვრები ქართველი მილიონერი ჰგონიათ და ამიტომ თამამად მიჰმართავენ ხოლმე—გვიბოძეთ ამდენი და ამდენიო. ის-კი არ იციან, რომ აქაური ქართველები მილიონებზედ დაშორებულნი არიან, ვიდრე რომელიმე ცხრუკვეთელი მკვიდრი, თუნდა მათს ახლოს-კი, მართალია, ტრიალობს მილიონები.

ერთს ჩემს ნაცნობს, გარდა პირადის მოწოდებისა, არა ერთხელ და ორჯერ მისვლია წერილები, ამ და ამ კაცს ბაქოში მილიონები აქვს, მიდი და გამოაგზავნინე ჩვენის კეთილის საქმისათვის ორი-სამი ათასი მანეთიო. ის-კი არ იციან, რომ ძალით ქველ-მოქმედობა—შეუძლებელია. ისეთს კადნიერებამდე მიდიან ზოგიერთები, რომ ძნელი დასაჯერებელია. ერთი ქართველი სწერს თავის ბაქოელ ნაცნობს, შემეწიე ათიოდე თუმანი გამომიგზავნე სახლს ვიშენებო. დალოცვილი, თვითონ სახლს იშენებს და იმის ნაცნობს-კი არც სახლი აქვს, არც კარი, გადმოვარდნილა ცხრა მთას იქეთ ლუკმა-პურის მოსაპოებლად, მოჰშორებია სამშობლოს, ახლობლებს, მტერ-მოყვარეს და მაინც უნდა შეეწიოს, რადგან ბაქოში სცხოვრობ, მილიონებიც გექნებაო. აი რას ჰფიქრობენ ისინი, ვინც აქ მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობა არ იცის.

—

ამიერ-კავკასიის რკინის გზის რევიზორის გედევანიშვილის მკვლელები აღმოაჩინეს და გამომძიებელმა კიდეც დაამთავრა გამოძიება, მხოლოდ ამ ჟამად მოელიან მთავარ-მართებლის განკარგულებას იმის შესახებ, სამხედრო უწყებას გადაეცეს საქმე, თუ სამოქალაქოს. მკვლელი უკვე გამოტყდა და თურმე ძლიერ შეწუხებულია. ამბობენ, დღითი-დღე სამთელივით დნება, ისე აწუხებს სვინიდისიო.

—

ამ ჟამად ბაქოში სამი გაზეთი იბეჭდება, ერთი ძველი „კასპი“ და ორი ახალი „ბაქო“ და „ბაქოს უწყებანი“, ამ უკანასკნელის სულის ჩამდგმელი გახლავთ ტფილისის არა უცნობი ი. გ. ხაჩატუროვი, რომელსაც თურმე თავის გაზეთის პირველ ნომერში მოწინავე წერილად გადმოუბეჭდავს „Новое Обозрѣніе“-ს მოწინავე სტატია, რომელიც იყო მოთავსებული ამ გაზეთის პირველ ნომერში 18 წლის წინად, სტეფანოვის რედაქტორობის დროს. ეს გარემოება გამოამჟღავნა გაზ. „ბაქომ“ და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში, მხოლოდ ხაჩატუროვი ყურსაც არ აბარტყუნებს, თითქოს იმას არ ეხებოდეს ეს ამბავი. ამ ვაჟბატონმა ამას წინად თავის გაზეთში, უკაცრავათ მოხსენებაა, გაილაშქრა ქართველებზედ ქართველ-სომხეთა ურთიერთობის შესახებ და „ივერიას“ უკიჟინებს შოვინისტობას, მერე ვინ? ი. გ. ხაჩატუროვი. აფსუს!!

ივანელი.

# რუსეთი

24 ნოემბერს საერო განათლების მინისტრად ნამყოფს ვანოვსკის დაბადებიდგან 80 წელი შეუსრულდება.

— პოტაპენკოს დაუწერია ოთხ-მოქმედებიანი კომედია: „ქვის საუკუნე“.

— როგორც გაზეთები იტყობინებიან, მიწად-მოქმედების სამინისტროს შეუდგენია წესდება წვრილ სამრეწველო ამხანაგობათა და არტელთათვის, რომელიც წარედგინება განსახილველად სასოფლო სამეურნეო საბჭოს.

— მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო 14—20 დეკემბერს მოიწვევს სამეურნეო საქმეთა მცოდნეთ სრულიად რუსეთის მეორე კონგრესზე.

— როგორც „Петербур. Вѣдом.“-ი იტყობინება, წელს იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტიდგან 10-მდე პროფესორები გამოსულან და ლექციების კითხვისთვის თავი დაუნებებიათ. მიზეზი უნივერსიტეტის მოუწყობლობა ყოფილა.

# უცხოეთი

**ინგლისი**. ოკდომბრის 30-ს დუბლინში გაირჩა ერთი საყურადღებო საქმე.

ადგილობრივ მოვაჭრე ო'კიფი უჩიოდა ირლანდიის შეერთებულ ლიგის რამდენსამე წევრს 20,000 გირვანქა სტერლინგს, და საბუთად ის მოჰყავდა, დასახელებულ წევრების

---

თავის ცხოვრება-მოქმედებით მთელს დაღესტანში სახელი გაითქვა. ლეკები ხშირად ირჩევდნენ ხოლმე ჰაჯი ჩალაბს თავიანთ ბელადათ და ამ დროს ყოველს მის ბრძანებას ყურმოჭრილ ყმასავით ემორჩილებოდნენ. ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ ქალაქი ნუხა და მისი მიდამო ადგილები ხელთ ჩაიგდო. ათასნაირის ხრიკებით, ძალ-მომრეობით, მოტყუებით და მოსყიდვით გაადიდა, გააფართოვა ეს ადგილები და დასასრულ თავისი თავი ნუხის ხანათ გამოაცხადა.

ჰაჯი ჩალაბს გულით უნდოდა საქართველოსთვისაც წაეგლიჯა რომელიმე ნაწილი, უნდოდა ჩვენშიაც გადმოეყო თავისი გაუმაძღარი ხელი, მაგრამ კარგათ იცოდა მეფე ერეკლეს ვაჟკაცობა, მისი ხმლის ძლევა-მოსილება და ამიტომ მასთან განცხადებით უსიამოვნობას, ფარულ-გაიძვერულ მტრობას არჩევდა. ხშირად გროვდებოდნენ ხოლმე მის სამფლობელოში თავზედ ხელაღებული ლეკები და აქედან ჰაჯი ჩალაბის ხელმძღვანელობით ხან ერთ კუთხეს აოხრებდნენ საქართველოსას, ხან მეორეს. ყოველ ამგვარ შემთხვევაში ნადავლის მეათედი ნუხის ხანისა უნდა ყოფილიყო..

თეიმურაზი და ერეკლე კარგათა ხედავდნენ ამ ვერაგის კაცის თვალთმაქცობას, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ დამშვიდება მისი შესაძლებელი იყო; ამის გამო უგზავნიდნენ მეგობრულ წერილებს, ძვირფას საჩუქრებს და სთხოვდნენ მეზობლურ მშვიდობიანობას. ყოველ ამგვარ მოკითხვაზე ჰაჯი ჩალაბისაგან მუდამ ერთი და იგივე პასუხი მოსდიოდათ მეფეებს. „შეუპოვარი და მხეცთა მსგავსი ლეკები ძალით შემოდიან ჩემს ქვეყანაში, იკლებენ, აოხრებენ მას და შემდეგ აქედან თქვენს სამეფოშიაც გადმოდიანო. მე ამათი მოკავშირე-კია არა, დაუძინებელი მტერი ვარ: სადაც-კი მოვასწრობთ, არ ვინდობთ ერთმანეთსაო.

ამგვარ სიტყვებს წინაპირველად შეცდომაში შეჰყავდათ ორივე მეფე, მაგრამ შემდეგ სცნეს ჰაჯი ჩალაბის ფარისევლობა, ცხადათ დაინახეს სიმართლე და განრისხებულთ შეუთვალეს მუქარა. ამ მუქარაზედაც ნუხის ხანმა ჩვეულებრივის ფარისევლურის პატივისცემით და მორჩილებით გასცა პასუხი მეფეებს. ამ ჟამადაც სცდილობდა—მოეტყუებინა და დაემშვიდებინა იგინი. ხოლო თითონ, ყოველ შემთხვევისთვის, სისწრაფით გაჰგზავნა მთელს დაღისტანში თვისი ერთგული მოლები და მოუწოდა მის მცხოვრებელთ წინააღმდეგ საქართველოს მეფეებისა. ამ უკანასკნელთ ყოველივე ესე დაწვრილებით შეიტყეს და მსწრაფლ გასცეს ბძანება ლაშქრის შეგროვებისა. მოუწოდეს აგრეთვე თვიაანთ მოხარკე ერევნისა და განჯის ხანებს და ხუთი ათასის ჯარით გასწიეს ნუხისაკენ.

III

როდესაც საქართველოს ლაშქარი ჰაჯი ჩალაბის სამფლობელოს დაუახლოვდა, მეფე ერეკლემ გაიყვანა ჯარიდამ ორასი რჩეული ვაჟკაცი, გაუძღვა წინ და გასწია ჩქარის ნაბიჯით მტრის ქვეყნისაკენ. ერეკლესთან ახლდნენ გორისა და ქიზიყის მოურავები: ოთარ ამილახვარი და ზაქარია ანდრონიკაშვილი. როგორც ოთარი, ისე ზაქარია არა მხოლოდ სახელოვანი, მთელს საქართველოში ცნობილნი ვაჟკაცნი იყვნენ, არამედ გულწრფელი მამულიშვილებიც, რომელთაც სამშობლოსათვის თავდადება თავიაანთ ცხოვრების წმიდა, სამღვთო საქმედ მიაჩნდათ. ამით იგინი ღვიძლ ძმებსავით წააგავდნენ ერთმანეთს, ხოლო სხვაფრივ მათ შორის დიდი განსხვავება სუფევდა.

ზაქარია იყო დაბალი ტანის კაცი, ვეფხვივით მარდი, მამაცი და ბრძოლის დროს ფიცხი და დაუღალავი. შავგვრემან სახეზედ მუდამ მხიარული ღიმილი ჰქონდა გადაფენილი. მის მარილიან ხუმრობას და მახვილ სიტყვიერებას ყველანი აღტაცებაში მოჰყავდა. რაგინდ მძიმე ნაღველი სწოლოდა რომელსამე კაცს, ოჯახს, საზოგადოებას, საკმარისი იყო იქ ერთი გამოჩენა ზაქარიასი, რომ ყველანი მხიარულს გუნებაზედ დამდგარიყვნენ. ეს მხიარულება არ შორდებოდა ზაქარიას თვით გაცხარებულ ბრძოლის და სისხლის ღვრის დროსაც-კი.

ჩინებული მომღერალი იყო თურმე!.. შემოსძახებდა სიმღერას და ლომივით ეძგერებოდა მტერს; იბრძოდა და თანაც მხიარულად ღიღინებდა. როდესაც ხმლის ქნევით მარჯვენა ხელი ეღლებოდა, მაშინ მარცხენას წამოიშველებდა და ამ ხელითაც იმგვარისავე ხერხითა დი ძლიერებით ხმარობდა იარაღს, როგორც მარჯვენათი.

ოთარ ამილახვარი დევ-გმირული ახოვანების ვაჟკაცი იყო: ამ წამოსადეგობას ღონე და ძლიერებაც შესაფერი მოსდევდა თურმე. რაც უნდა დიდი ხარი, ან ძროხა ყოფილიყო, ხანჯლის ერთის დაკვრით თავს აგდებინებდა. როგორც ოჯახში, ისე ხალხსა და საზოგადოებაში იყო ჩუმი, ზრდილი, მშვიდობის მოყვარე, მომთმინე, ღვთის მოშიში, ქვრივ-ობლის მოწყალე, გლეხ-კაცის მფარველი და მოსარჩლე. ხოლო ბრძოლის დროს მის მრისხანებას და შეუბრალებლობას საზღვარი ეკარგებოდა. რაც უნდა ღრიანცელი მდგარიყო, მისი მაღალი ბოხი ხმა მაინც კარგად ისმოდა. მტერს მუქარას უთვლიდა, უწმაწურის ენით ლანძღავდა, მთელს ქვეყნიერებას ბრძოლაში ითხოვდა. მხოლოდ მაშინ წყნარდებოდა, როცა ღირსეულ მოწინააღმდეგეს შეხვდებოდა. ამისთანა შემთხვევაში ლანძღვა-გინების მაგივრად, მტერს აქებდა, ძალასა და მოხერხებას უწონებდა. მაგრამ როცა ამასაც ბოლოს მოუღებდა, დაიღრიჯებოდა და ზიზღით იტყოდა: ბევრი არაფერი შვილი ყოფილა ესეცაო.

ანდრონიკაშვილი ბრძოლის ველზე ციბრუტივით ტრიალებდა. ერთს წამში რამდენსამე ადგილას ამოჰყოფდა თავსა. ვაჟკაცურ მამაცობასთან ხშირად ხმარობდა ხერხსაცა. მტერს უცებ შეშინებულად ეჩვენებოდა, ნელ-ნელა იწევდა უკან, წაქეზებულ მოწინააღმდეგეს თავისკენ იტყუილებდა, მერმე უეცრად ერთს გადახტებოდა და ქორივით ეცემოდა თავზე. ამილახვარს ბრძოლის დაწყება არ უყვარდა; პირველ ხანებში ჯარს უკან უდგა და ბრძოლის ველს გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. შენიშნავდა თუ არა რომელსამე ადგილას მტრის ძლიერებას, იმავე წამს იქ გაჩნდებოდა. შეჩერდებოდა შუა ადგილზედ და იდგა იქ „ვით ციხე-ბურჯი მაგარი“, იდგა და ვაი იმის ბრალი, რომელიც მიუახლოვდებოდა: ერთის დაკვრით ვაჟკაცს შუაზე სჩეხდა: ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ხმლის ერთი შემოქნევით ორი-სამი კაცი წაუქცევია.

თავდასხმისა და გაქცევ-გამოქცევის დროს ზაქარია პირველობდა, ხოლო შეჩერებულ ბრძოლასა და მოგერების ჟამს ოთარს ვერავინ შეედრებოდა.

არბოლელი.

(შემდეგი იქნება)

ჩაგონებით მცხოვრებლებმა პირი შეჰკრეს, არც ჩემგან მიჰქონდათ და არც მე მაძლევდნენ რასმე, ერთი სიტყვით, სრულიად ხელი ამაღებიეს ვაჭრობაზე და სწორედ 20,000 გირ. სტ. ზარალი მიმცესო. ეს საქმე რამდენჯერმე გაირჩა, მაგრამ მომჩივანს ყოველთვის უარს ეუბნებოდნენ. ამ ჟამად-კი სასამართლომ ო'კიფის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე და მიუსაჯა ხემოხსენებულ წევრებს 5,500 გირ. სტ. გადახდა მომჩივანის სასარგებლოდ.

— გაზ. „Daily News“-ი იუწყება, ლონდონში ყოფნის დროს იმპერატორ ვილჰელმს მოლაპარაკება ჰქონდა ჩინეთის, სახელდობრ იანცეკიანგის შესახებაო; ვილჰელმს აღუთქვამს თუ ამ საქმეში არ შემეცილებით, ინგლის-პორტუგალიის შეთანხმებაში, ნავთ-სადგურს დელაგოას გამო, აღარ გავერევიო. ლონდონის საპოლიტიკო წრეები გადაჭრით უარ ჰყოფენ თურმე ამ ხმებს.

— ლონდონში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლორდ სოლსბერის რივიერიდგან ინგლისს საჩქაროდ დაბრუნებამ. ამბობენ, ყოფილი პრემიერი ბალფურმა გამოიწვია საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხთა მესახებ მოსალაპარაკებლადაო, რადგან ამ ჟამად გერმანიის იმპერატორიც იქა ბრძანდება და პორტუგალიის მეფესაც მალე მოელიანო.

**ავსტრია-უნგრეთი**. ავსტრიის რეიხსრატის უკანასკნელმა კრებამ თავის შეუფერებლობით ბევრად გადააჭარბა იმ კრებასაც-კი, რომლის შესახებაც ამ დღეებში მოველაპარაკეთ ჩვენს მკითხველებს.

განსახილველი იყო ერთი იმ მრავალ საჭირო წინადადებათაგანი, რომელიც თავბრუს ახვევს მთავრობას; ამ ჟამად კამათი ასტყდა, —რკინის გზებზე სახმარად რომელი ენა უნდა დარჩესო. სრულიად-გერმანელმა ნოვაკმა განაცხადა, ჩეხები ამახინჯებენ ნამდვილ გერმანულ გეოგრაფიულ სახელებს და ჩეხურ სახელებს არქმევენ; ასეთი საქციელი არაა შესაწყნარებელიო. ორატორს შეება ჩეხი ვიშტედტერი, მაგრამ სრულიად-გერმანელთა ლანძღვა-გინებამ ლაპარაკი გააწყვეტინა. შტეინმა შეჰყვირა: „თქვენ ''უტრუკები ხართო“, ჩეხებმაც ასეთისავე ლაზათიან გინებით უპასუხეს. ჩეხი ზენალი გერმანელ გრესტლს შეეკამათა და ისე გაცხარდა, რომ „გერმანული ღორი“ უწოდა. გრესტლი გაბრაზდა, „ეს—წარმოუდგენელი უტიფრობააო“ დ ხელდახელ ეცა მოპირდაპირეს; შეიქნა ჩოჩქოლი; ვინ ვისა სცემდა, კაცი ვერ გაარჩევდა; შენერერმა გაარღვია ხალხი, მიაშურა ზენალს და შეჰყვირა: „ჰკათ მაგასაო“. გაბურდა მუშტი-კრივი. ჩეხები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, ზენალი წააქციეს და კიბეზე დააგორეს; ამავე დროს ფეხ-ქვეშ ჩაიგდეს გერმანელი ლეხერი და კარგად სთელეს; ადვილად წარმოსადგენია, თუ რა საშინელი არეულობა ასტყდებოდა რეიხსრატში; ვინც ჩხუბში არ იღებდა მონაწილეობას, გაიძახოდა: „ვაი, სირცხვილო! ვაი, თავის-მოჭრაო!“ გალერეიაც აღელდა. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი სცდილობდნენ დაემშვიდებიათ საზოგადოება, მაგრამ ამაოდ. დეპუტატები, როგორც იყო დაიღალნენ ერთმანერთის ცემითა, და თვალებ დაწითლებულნი და ცხვირპირ დაბეჟილნი, დაშორდნენ ერთმანერთს, მაგრამ აქა-იქ კიდევ მოისმოდა ლანძღვა-გინება. როდესაც დაწყნარდნენ, თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა ზენალს „გერმანულ ღორის“ დაძახებისათვის. ჩეხებმა იუკადრისეს ეს შენიშვნა, და ხელ-ახლად ასტყდა აყალ-მაყალი. რამდენისამე წამის შემდეგ თავმჯდომარე შეუდგა კრების განგრძობას, მაგრამ შეატყო, რომ დეპუტატები მეტად ჰღელავდნენ და საუმჯობესოთ სცნო კრების გადადება.

## ნარკვევი

გაზ. „ბაქო“-ში ვკითხულობთ:

ბ-ნი მანთაშოვი მილიონერია, ეს ყველასათვის ცნობილია... მის ქარხანაში მუშაობდა ერთი ვინმე სტეფანე სიდოროვი—უბრალო მუშა. იღებდა დღეში მანეთს და მით არჩენდა თავის ოჯახს: ცოლსა და ექვს ბალღს. დიდის თავ-გამოდებით მუშაობდა სტეფანე სიდოროვი, თავისი ძვლებსაც არ იშურებდა მანთაშოვისთვის. მაგრამ, დახე უბედურებას, სტეფანემ მუშაობის დროს ფეხი მოიტეხა. გასაკვირველი და გასაოცარი ხომ არაფერი მომხდარა! განა ცოტა სიდოროვები სახიჩრდებიან ფაბრიკა-ქარხნებში? წაიყვანეს სტეფანე საავადმყოფოში. დაჰყო იქ ერთ თვეს, ცოტა მოიმჯობინა და კოჭლობით გასწია ისევ სამუშაოდ.

— რა გინდა შენ?—ჰკითხა სტეფანეს მმართველმა.

— თქვენი რისხვა ნუ მაქვს... თქვენი მუშა ვარ... ფეხი მოვიტეხე... საავადმყოფოში ვიწექი... მე სტეფანე სიდოროვი გახლავარ...

— მაგ გვარისა ჩვენ არავინ გვყოლია. წაეთრიე აქედგან!

მოიქქა სტეფანემ თავი და გასწია ოლქის ინჟენერთან. მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ღვთისნიერმა კაცებმა ურჩიეს სტეფანეს სასამართლოში იჩივლეო. წავიდა სტეფანე ადვოკატთან. საქმე გაირჩა 27 სეკდემბერს, მესამე ნაწილის სასამართლოში. მიუსაჯეს მანთაშოვს სიდოროვის სასარგებლოდ ერთის წლის ჯამაგირი, თვეში 24 მანეთის ანგარიშით. გაეხარდა სტეფანეს: ერთი წლის განმავლობაში მეც სრულიად მოვრჩები და ოჯახიც მაძღარი მეყოლებაო. მაგრამ საქმე სულ სხვა ნაირად დატრიალდა. ნაადრევი იყო სტეფანეს სიხარული. მანთაშოვმა ვერ შესძლო 288 მ. გადახდა. საქმე განასაჩივრა ოლქის სასამართლოში.

— იქ წავაგებ—სენატში გადვიტან ჰფიქრობდა მანთაშოვი—და სტეფანეს-კი არაფერს მივსცემ.

საწყალმა სტეფანემ საწყლად თავი ძირს დახარა და ამოიოხრა: ღმერთო ჩემო, ეს რასა ჰგავს! როდის მივიღებ ფულს? ახლა მე ფული ძლიერ მესაჭიროება... მუშაობა არ შამიძლია. ოჯახი უნდა შევინახო... როცა სრულიად მოვრჩები, მაშინ ოჯახს ისედაც გამოვკვებამ, რათ მინდა მანთაშოვის ასიანები...

დაეხეტება სტეფანე ქუჩა-ქუჩა და ყველას ეკითხება: უბედურებას, როგორ უშველოს, ცოლ-შვილი რით გამოჰკვებოს.

რა უნდა უთხრა? რა უნდა ურჩიო? მე ვერაფერი ვუთხარი, როცა შავი, გასვრილი, დავიწყებული სტეფანე მელაპარაკებოდა,—ექვსი ბალღი მყავს და პურსა თხოულობენო...

ბ-ნო მანთაშოვო!

თქვენ მაინც უთხარით რამე! ერთს წამს მაინც მოიგონეთ, რომ თქვენც ადამიანი ხართ...

სიდოროვი სიმშილით მოკვდება, სახლობა უდუკმო-უპუროდ დაეხოცება. განა ცოტაა ასეთი მაგალითები. მანთაშოვები ვერას ჰშველიან.

## ნარევი და ნაკვესი

### ათთიაქში

— ერთი აბაზის, რაც შეიძლება, ცხარე საწამლავი მომეცით.

— საწამლავს არა ვყიდით. ურეცეპტოდ არავის არას ვაძლევთ.

— ჰმ... მაშ სად ვიყიდო საწამლავი?

— რად გინდათ საწამლავი?

— თავი უნდა მოვიწამლო.

— მაშ კონდიტერთან მიბრძანდით და პეროჟნი იყიდეთ: უეჭველად მოიწამლებით.

### ქალის ოთახში

— ქალო, რა მოგივათ, ეცებ რომ თქვენმა ქმარმა მოგვასწროს?

— მე არა მომივა-რა და თქვენ რომ ნაირივით დაიჩეჩქვებით,—ეს-კი ნამდვილად ვიცი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

სხვა-და-სხვა პირნი და დაწესებულებანი ხშირად მიგზავნიან წერილებს და დეპეშებს ან „ივერიის“ რედაქციის, ან წერა-კითხვის საზოგადოების“ და ან „საახნაურო სკოლის“ სახელობაზედ. ეს მოსდით ალბათ იმის გამო, რომ ეჭვობენ, ვაი თუ ფოსტამტმა ადრესატის სადგური არ იცოდეს და კორესპონდენციამ ვერ მიაღწიოს დანიშნულებისამებრო. საჭიროთ ვრაცხ, ვაუწყო ყველა ამათ, რომ ფოსტამტმა ყოველთვის იცის ჩემი პირადი ადრესი, ჩემი სადგური, და დაუგვიანებლივ მოაქვს პირდაპირ ჩემთან გამოგზავნილი კორესპონდენცია. ამიტომ სრულიად საკმარისია ჩემს სახელზე კორესპონდენცია იგზავნებოდეს ყოველთვის ასეთი პირდაპირი ადრესით: თბილისს, იაკობ სიმონის ძეს გოგებაშვილს. ასე გამოგზავნილი კორესპონდენცია უფრო ადრეც მოახწევს ჩემამდინ და არც რომელსამე დაწესებულებას შეაწუხებს შუამავლობითა.

იაკობ გოგებაშვილი.

### „ივერიის“ ფოსტა:

**ბათუმი**. ზ. მუშა არსენი კ. შილიას. თქვენი წერილი—„ინტელიგენცია“ არ იბეჭდება.

**ქუთაისი**. მოგზაურს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 ნოემბერი

**პარიჟი**. მინისტრთა საბჭოს დელკასემ გუშინ აცნობა, რომ არეულობა მაროკოს, ხმელთა შუა ზღვის ნაპირას ვითომ მოისპოო. მიღებულია ზომები დასაცველად ფრანგთა ქვეშევრდომებისა.

**ბელგრადი**. მინისტრმა თოდოროვიჩმა ჟურნალისტებს გამოუცხადა, რომ ახალი მთავრობა კონსტიტუციის ნიადაგზე დამყარებულიაო, დაიცავსო უფლებას, შეღავათის მომხრე იქნებაო და სდევნისო, ვინც ამას ბოროტად მოიხმარს. მთავრობა არ დამყარდება რომელსამე ერთს დასზე, არამედ ეცდება ყველა უკეთესი პატრიოტული დასები შეაჯგუფოს ერთ წრედ.

9 ნოემბერი

**პეტერბურგი**. შავი-ზღვის საწინააღმდეგო კომისიამ დაადგინა, ნება-დართულ იქმნას ადგილიდგან გატანა იმ საქონლისა, რომლის გაზიდვაც აღკრძალული იყო აგვისტოს 2-დგან.

**საშიშრად ცნობილია**: შავის-ზღვის მხრით—კუნძული ფორმოზა: ხოლერის მხრით—დანკალის ნაპირი ედდომსა და ბორაზოლას შუა.

**რიგა**. რიგის სანაოსნო საზოგადოება „აუსტრა“-ს დასავლეთ-ავსტრალიიდგან ახალ-ზელანდიას მიმავალი პატარა გემი „კონკორდია“ ზღვაში კლდეს დაეჯახა და დაზიანდა. გემზედ მოსამსახურე 17 კაცი გადაარჩინეს.

**კიევი**. სადგურზედ ქალაქის მოურავმა შინაგან საქმეთა მინისტრს მთავარ-ანგელოზ მიხეილის ხატი მიართვა. მინისტრმა დაათვალიერა პეჩორის სავანე, თაყვანი სცა წმინდანებს და გასინჯა ვლადიმირის ტაძარი.

**ვლადივასტოკი**. კეიზერლინგის ვეშაპებზე სანადირო გემებმა ივლისის 12-დგან ოკდომბრის 25-მდე დაჰხოცეს 57 ვეშაპი.

### პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,37½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97½ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 99⅝ მყიდ. |
| 1% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 94¼ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 479½ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 370½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 296¾ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89⅝ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | 492½ გაყ. |
| ,,კასპიის ამხანაგობისა. | 5,4500 წვრ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 415 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 198 წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად, | — |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს**:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს**:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს**:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს**:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე**:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ**: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ**:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ**:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე**:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე**: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე**:— საღამოს 10 ს. 49 წ (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

## განცხადება

**გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა**

## „შუქი“

აუწყებს ბ-ნთ ამხანაგთ, რომ მათ მიერ 3%-იან შესატანის ვადა, ესე იგი 3 მ. თითო პაიზე, დანიშნულია 16-დან 23 ნოემბრამდე და ჯარიმით შესატანის ვადა 24 ნოემბრიდგან 3 დეკემბრამდე. ფული უნდა წარმოადგინონ გამგეობის კანტორაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 6 8 საათამდე.

პაის პატრონთ ფულის შემოტანის დროს უნდა წარმოადგინონ პაის კვიტანციებიც.

(3—455—1)

---

20 ნოემბერს, 1902 წ. საღამოს 8 საათზე ტფილისის სომეხთა ნერსესიანის სალიერო სემინარიის საბჭოსაგან 1903 წ. 1-ს იანვრიდგან გაიცემა იჯარით ნახევარი ნაწილი იმ **სახლისა**, რომელიც შემოწირულია ამ სემინარიის სასარგებლოდ თაქუა პანასოვისაგან—მეორე ნახევარი ამ სახლისა ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს მიხ. პავ. იოანოვს. ეს სახლი იმყოფება ტფილისში მე-7-დე უბანში, კახეთის მეედნის უკან, სირაჯხანის აღმართის მხარეს. სემინარიის ნაწილს ამ სახლისას წელიწადში შემოაქვს 750 მანეთი.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეებს გარდა დილის 10 საათიდგან შუადღის 1-ლს საათამდე. (3—454—3)

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 ამა ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა.

იჯარით გაიცემა სამის წლის ვადით შემოსავალი ვერის ხიდისა.

პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიის მე 4 განყოფილებაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(2—6.—1)

---

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К°**

Парфюмерія

„Шампака“

---

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

## საქართველოს კალენდარი

(ვ. ზუნიასი),

გამოცემა „ქართ შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

**მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად**

შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან,, ½ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., ½ გვერდი—4 მან., ¼ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

**განცხადება მიიღება**: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჰელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტ. ლაღიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

## წლის კალენდარი.

---

ქუთაისში

**ს. მ. ბ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

---

## ახალი გამოცემა.

სტამბიდგან გამოვიდა მეორე გამოცემა, ბევრად შევსებული, იაკობ გოგებაშვილის რუსულად დაწერილი წიგნისა:

**„Правда о Тифлисѣ“.**

ფასი ყველგან ერთი აბაზია. საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაშია. ისყიდება სხვა წიგნის მაღაზიებშიაც ტფილისში, აგრეთვე ქუთაისში და სხვაგანაც. (6—5)

---

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова | „ | 30 |
| Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра | 3 | „ |
| Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова | „ | 60 |
| О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили | „ | 20 |
| Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина | 1 | |
| Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе | „ | 10 |
| Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III. | 3 | „ |
| Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова | „ | 60 |
| მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოლაძისა | 1 | „ |
| ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის | „ | 30 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა | „ | 50 |
| ბრძნული სიტყვები | „ | 10 |
| წმიდა ახალ ტფილელი | „ | 30 |
| დაზარილით ტორმესელი, ესპანური მოთხრობა, თარგმ. ა. უმიკაშვილისა | „ | 10 |
| ტფილისი, მ. ჯანაშვილისა | „ | 50 |
| თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი | „ | 50 |
| ნამუსნი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა | „ | 5 |
| სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა | „ | 15 |
| კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა | „ | 5 |
| ზღაპრები სურათებით | 1 | „ |
| პაწია და ბუზღლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა | „ | 30 |
| „შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა | „ | 40 |
| Царица Тамара, მისივე | „ | 50 |

Дозволено цензурою. 9 Тифлисъ, ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.